



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

მომსახურების საკომისიო – როგორც კომერციული ბანკის არასათკვრაცით შემოსავალი



www.sab.ge

მომსახურების საკომისიო – როგორც კომერციული ბანკის არასაოპერაციო შემოსავალი

ფინანსური ინსტიტუტების ძირითად საქმიანობას ანაბრების სახით სახსრების მოზიდვა და შემდეგ მათი სესხების სახით გაცემა წარმოადგენს. შესაბამისად ბანკების შემოსავალი ფორმირდება გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლით, რომელსაც საოპერაციო შემოსავალი ჰქვია, მაგრამ გარდა საპროცენტო შემოსავლისა, ფინანსური ინსტიტუტები ასევე ე.წ არასაოპერაციო საქმიანობას ახორციელებენ, საიდანაც იღებენ არასაოპერაციო შემოსავალს. ასეთი სახის შემოსავლის ტიპს მიეკუთვნება მომსახურების საკომისიოები - როგორც არის ანგარიშის გახსნის საკომისიო, ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო, ინტერნეტ ბანკის საკომისიო, SMS ბანკის საკომისიო, ავტომატური გადახდების საკომისიო, თანხის განაღდების საკომისიო, სესხის გაცემის საკომისიო და ა.შ. საკომისიოები შეიძლება იყოს, როგორც ყოველწლიური ასევე ყოველთვიურიც, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მომსახურებით ვსარგებლობთ. მთლიანობაში აღნიშნულ საკომისიოებს ბანკის თითქმის ყველა მომხმარებელი იხდის, უბრალოდ განსხვავებულია სატარიფო სისტემა და დამოკიდებულია იმაზე ვსა თუ ის მომხმარებელი რა სტატუსით სარგებლობს. სტატუსში ძირითადად იგულისხმება ორგანიზაცია, სადაც მომხმარებელი არის დასაქმებული, ანუ ეს ორგანიზაცია სარგებლობს თუ არა კონკრეტულ ბანკში მომსახურების განსაკუთრებული პირობებით. მიუხედავად იმისა, რომ საკომისიოების თანხა მცირეა და მისი გადახდა მომხმარებლისთვის თითქმის შეუმჩნეველად ხდება, მთლიანობაში საბანკო სისტემის მომხმარებელთა რაოდენობიდან გამომდინარე საკომისიოდან მიღებული შემოსავლები საკმაოდ დიდი ციფრი გამოდის. არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ საბანკო სფეროში დღეს არსებული საკომისიო მოსაკრებლები მიმოიხილა.

მიმოვიხილოთ სხვადასხვა ბანკებში არსებული საკომისიოების სატარიფო სისტემა. პირველი და ყველაზე გავრცელებული საკომისიო არის ანგარიშის მომსახურების საკომისიო, რომელიც თითქმის ყველა ბანკში არსებობს. 2014 წლის აგვისტოსთვის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 5,976,359 სადებეტო ბარათი, რომელზეც მიბმულია მულტისავალუტო ანგარიში. სწორედ ასეთი სახის ბარათის სარგებლობისთვის მომხმარებლები იხდიან ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს, რომელიც როგორც წესი ყოველთვიურად 1 ლარს შეადგენს. თუმცა გარდა ამისა ზოგიერთი ბანკი ყოველთვიური საკომისიოს ნაცვლად ბარათის ღირებულების საკომისიოს აწესებს, რომელიც დამოკიდებულია ბარათის ტიპზე - რაც უფრო მაღალია ბარათის ტიპი შესაბამისად საკომისიოც იზრდება, წელიწადში 10 ლარიდან იწყება და დაახლოებით 60 აშშ დოლარამდე აღწევს. მაგრამ თუ მომხმარებელი ჩართულია კონკრეტული ბანკის სახელფასო სისტემაში, ბარათი შეიძლება უსასყიდლოდ გადაეცეს, მაგრამ ყოველთვიურ საკომისიოს - 1 ლარს, როგორც წესი, მაინც იხდის.

შემდეგი და ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საკომისიო არის ინტერნეტ ბანკის საკომისიო. ინტერნეტ ბანკის სერვისის აბსოლუტურად ყველა ბანკი სთავაზობს მომხმარებელს. ეს სერვისი საკმაოდ მოხერხებული და კომფორტულია საკუთარი ანგარიშების სამართავად. სწორედ ამაში იხდიან მომხმარებლები ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიოს. ბანკებში, ტარიფები ამ სახის საკომისიოზე განსხვავებულია, ზოგიერთ ბანკს აქვს ყოველთვიური სახის და როგორც წესი 1,5 ლარია თვეში. არსებობს განსხვავებული სისტემაც, მაგალითად თუ ბანკ რესპუბლიკაში გავხსნით ე.წ. Prisma ანგარიშს, ამ შემთხვევაში ჰაკეტს მოჰყვება ინტერნეტ ბანკის მომსახურება, სამაგიეროდ ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნაცვლად 1 ლარისა არის 1,9 ლარი. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საბანკო სისტემაში ინტერნეტ ბანკით მომსახურება ძირითადად არის ფასიანი და შესაბამისად არასაოპერაციო შემოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს. სამწუხაროდ მონაცემები იმის თაობაზე, თუ მომხმარებელთა რა რაოდენობა იყენებს ინტერნეტ ბანკს არ არსებობს.

კიდევ ერთი არასაოპერაციო შემოსავლის სახეობას წარმოადგენს SMS სერვისი, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მობილური ტელეფონის SMS სისტემის მეშვეობით გაიგოს საკუთარ ანგარიშზე ბრუნვის შესახებ ინფორმაცია: თანხის ჩარიცხვა, გადარიცხვა, არსებული ნაშთი და ა.შ. ეს მომსახურებაც საკმაოდ კომფორტულია, მაგრამ ამაშიც მომხმარებელი იხდის გარკვეულ ტარიფს. როგორც წესი ეს ტარიფი არის 1 ლარი თვეში, თუმცა პროკრედიტ ბანკში ეს მომსახურება 0,5 ლარი დაგვიჯდება. აღსანიშნავია, რომ თუ მომხმარებელი ბანკში ფლობს რამდენიმე ანგარიშს, როგორც წესი ყველა ანგარიშზე აქვს გააქტიურებული SMS მომსახურება, თუმცა რამდენ ანგარიშსაც არ უნდა ფლობდეს მომხმარებელი, SMS მომსახურების საკომისიო 1 ლარი იქნება.

გარდა აღნიშნული საკომისიოებისა არსებობს სხვა ტარიფებიც, რომლებსაც ბანკები სხვადასხვა სახის მომსახურებაზე აწესებენ, მაგალითად როგორც არის ავტომატური გადახდების სერვისი, ინდივიდუალური



სეიფებით მომსახურება, ფულადი გზავნილები და ა.შ. მაგრამ ეს მომსახურებები არ არის ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც სხვა დანარჩენი.


საკომისიოების ტარიფების სიძვირეზე ძნელია ვისაუბროთ, როდესაც არ ვიცით ამერიკისა და ევროპის განვითარებული ქვეყნების ბანკების მდგომარეობა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძიებინა ინფორმაცია სხვადასხვა წამყვანი უცხოური ბანკების სატარიფო სისტემის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ყველა ბანკს ძალიან განსხვავებული სისტემა აქვს. მაგალითად ბრიტანულ “Barclays Bank”-ში, მიმდინარე ანგარიშის მომსახურება ყოველთვიურად უფასოა, მაგრამ თუ დამატებით ანგარიშს ვფლობთ ამ შემთხვევაში ყოველთვიური საკომისიო 7 ფუნტია, ასევე არსებობს გარკვეული საკომისიოები სხვადასხვა სახის მომსახურებებზეც, ისეთზე როგორც არის ინტერნეტ ბანკინგი, SMS ბანკინგი და ა.შ. სრულიად განსხვავებული სურათია ესპანურ “Santander Bank”-ში, სადაც ანგარიშის მომსახურება მართალია უფასოა, მაგრამ არსებობს გარკვეული შეზღუდვა, კერძოდ, თუ ანგარიშზე ყოველთვიურად ნაშთი არ შეადგენს მინ. 100 ევროს, ამ შემთხვევაში ყოველთვიური საკომისიო 3.5 ევროა.

დასკვნა

საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ბანკების არასალოპერაციო შემოსავალი საკომისიოების ხარჯზე განისაზღვრება. შესაბამისად, მსოფლიოს ყველა წამყვანი ბანკის ზოგიერთ მომსახურებას თან ახლავს საკომისიოები. თუმცა საქართველოში საკომისიოები საკმაოდ მაღალია და ამასთან, აბსოლუტურად ყველა სახის მომსახურებაზე არის დანესებული. ჩვენი აზრით, გამოსავალი ამ კუთხით, არის ის, რომ ბანკებმა უნდა გადახედონ საკუთარ პოლიტიკას ამ მიმართულებით და შეძლებისდაგვარად შეამცირონ ან საერთოდ გააუქმონ საკომისიოები.

თუ გადავხედავთ ეროვნული ბანკის მონაცემებს კომერციული ბანკების შემოსავლებთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ 2008 წლიდან კომერციული ბანკების შემოსავლები საკომისიოებიდან და განუვლი მომსახურებიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 1.



(წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge)



№1 ცხრილში ყავისფერ სვეტებში მოცემულია კომერციული ბანკების მთლიანი შემოსავლები, ხოლო ლურჯ სვეტებში საკომისიოებიდან და განუელი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. როგორც ვხედავთ 2008 წლიდან ორივე მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუ არ გავითვალისწინებთ 2009 წლის ჩავარდნას, რაზეც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა იმოქმედა. დანარჩენ წლებში აშკარა ზრდის ტენდენცია აღინიშნება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს, როდესაც საბანკო ინდუსტრიამ გამოიმუშავა 2.5 მლრდ-მდე შემოსავალი, საიდანაც 250 მლნ-ზე მეტი საკომისიოებიდან და მომსახურებიდან განუელ შემოსავალს უკავია, რაც 10%-ზე მეტია, ხოლო 2012 წლის შემოსავლებში 9%-ზე ცოტათი მეტი უკავია. რაც შეეხება 2014 წლის აგვისტოს მონაცემებს - ის 169,132,000 ლარია, რაც საერთო შემოსავლების 10%-ზე მეტია. ამ მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ეს მაჩვენებელი წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება და ბოლო 10 წლის მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწევს. საერთო ჯამში საკომისიოებიდან და განუელი მომსახურებიდან შემოსავლები, ბანკების შემოსავლების 9-10%-ს უტოლდება.

ჩვენ, ასევე მოვიძიეთ 2014 წლის მეორე კვარტლის ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკების საკომისიოებიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებლები. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ ყველაზე მაღალი ციფრით „საქართველოს ბანკი“ გამოირჩევა - 43,682,068 ლარი. მეორე ადგილზეა „თი ბი სი ბანკი“ – 39,083,980 ლარი, ხოლო მესამე ადგილს სს „ლიბერთი ბანკი“ იკავებს - 21,418,114 ლარი. რაც შეეხება ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, ამ მხრივ ცალსახად გამოირჩევა „პროკრედიტ ბანკი“, რომელსაც საქართველოში უმსხვილეს ბანკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს - 7,195,412 ლარი. როგორც ვხედავთ კომერციული ბანკების შემოსავლებში საკომისიოებს და მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უკავიათ. შესაძლოა ერთი შეხედვით მომხმარებელი ამას ვერც კი ამჩნევს, რადგან ყოველთვიურად ეს თანხა მცირეა, თუმცა საერთო ჯამში საკმაოდ დიდი ციფრი გამოდის.

საკომისიოებიდან ყველაზე დიდ პრობლემას მაინც ანგარიშის მომსახურების საკომისიო ჰქმნის. „საზოგადოება და ბანკების“ საკონსულტაციო ცენტრის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, უამრავ მომხმარებელს ჰქონია შემთხვევა, როდესაც სესხზე ყოველთვიური გადასახდელი თანხის შეტანის შემდეგ, ბანკი დანაკლისის შესახებ იტყობინება. ეს სწორედ დაგროვილი საკომისიოების გამო ხდება - ანგარიშზე თანხის გამოჩენის დროს, პირველ რიგში იჭრება დაგროვილი საკომისიო და შემდეგ სესხის თანხა (რომელსაც მომხმარებელი მიიჩნევს, რომ სრულად შეიტანა). ამას კი მოჰყვება სერიოზული გართულებები, რადგან სესხზე დანაკლისი იწვევს ვადაგადაცილებას. ამან კი შესაძლებელია მომხმარებლის დაჯარიმება გამოიწვიოს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც დაგროვილი საკომისიოს შესახებ სრულიად შემთხვევით ვიგებთ. ბანკში მისვლის დროს დგინდება, რომ ანგარიშზე, რომლითაც რამდენიმე წელია არ გვისარგებლია, ავტომატურად დაგვერიცხა მომსახურების საკომისიო, რომელიც ამ წლების განმავლობაში დაგროვდა და საკმაოდ დიდ თანხასაც მიაღწია. პრობლემა კი მათი ნაკლებად ინფორმირებულობიდან გამომდინარეობს, რაც ძირითადად ბანკის პასუხისმგებლობა, რადგან მან დროულად არ შეატყობინა მომხმარებელს არსებული დავალიანების შესახებ. აუცილებელია, რომ კომერციულმა ბანკებმა თითოეულ მომხმარებელს ყველა ხარჯის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია თავის დროზე, ხოლო მომხმარებელმა კი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ ის აღარ იყენებს მიმდინარე ანგარიშს, მივიდეს ბანკში და დახუროს, რათა მომავალში არ შეექმნას პრობლემები.



